

პრისტალიზაცია-შესწავლა  
ბეზმეზი

იოზი  
იგავეზი  
ეკლესიასტე

იოგის, იბავების, ეკლესიასტუს  
კრისტალიზაცია-შესწავლის ბეზმეზი

პირითაღი საკითხები

ღმერთის მიზანი მათზე მუშაობისას, ვისაც უყვარს ღმერთი,  
არის ის, რომ მათ მოიპოვონ ღმერთი უმაღლეს დონეზე,  
დაძლიონ იმ ყველაფრის დანაკარგი, რაც მათ აქვთ გარდა ღმერთისა,  
რათა ღმერთი გამოიხატოს მათი მეშვეობით  
თავისი ჩანაფიქრის განსახორციელებლად ადამიანის შექმნისას.

იოგი იყო კარგი ადამიანი, ის გამოხატავდა თავის თავს  
თავის სრულყოფილებაში, სამართლიანობასა და პატიოსნებაში,  
მაგრამ ღმერთის განზრახვა იყო ის, რომ იოგი დაპატარავებულიყო არარაობამდე,  
მაგრამ შენარჩუნებოდა მას თავისი არსებობა, ღმერთი ჩანერგილიყო მასში,  
და გამხდარიყო ღმერთ-კაცი, რომელიც გამოხატავდა ღვთაებრივ თვისებებს.

ღმერთის მიზანი თავის წმიდა ხალხზე მუშაობისას  
არის ის, რომ ისინი დაცარიელდნენ ყველაფრისაგან  
და მიიღონ მხოლოდ ღმერთი როგორც თავიანთი მონაპოვარი;  
ღმერთის გულის სურვილი არის ის, რომ მათ მოიპოვონ ღმერთი მთლიანად  
როგორც სიცოცხლე, როგორც სასიცოცხლო შეწევნა, და როგორც ყველაფერი  
თავიანთი არსებისათვის.

როდესაც ღმერთის მიერ ამორჩეული და გამოსყიდული  
ადამიანები განიცდიან ქრისტეს როგორც სიბრძნეს მათთვის ღმერთისაგან  
და ეზიარებიან ქრისტეს სიმდიდრეებს და ტკბებიან ქრისტეს სიმდიდრეებით,  
ეს სიმდიდრეები შეადგენენ მათ ეკლესიად,  
რომლის მეშვეობითაც ცნობილი გახდება ღმერთის მრავალმხრივი სიბრძნე  
ანგალოზური მმართველობებისათვის და ძალაუფლებებისათვის ზეციურ  
საზღვრებში.

შეტყობინება პირველი  
უდიდესი შეკითხვა იობის წიგნში  
და უდიდესი პასუხი

ადგილები წერილიდან: იობი 1:1; 10:2ბ, 13; ეფეს. 3:9; იობი 42:5-6

- I. იობის წიგნის ორმოცდაორი თავი გვიტოვებს ჩვენ ერთ უდიდეს შეკითხვას, რომელიც შედგება ორი ნაწილისაგან: რა არის ღმერთის მიზანი მის მიერ ადამიანის შექმნისას და რა არის ღმერთის მიზანი მის მუშაობაში მის მიერ ამორჩეულ ადამიანებზე? – 1:1; 10:2ბ, 12-13; შდრ. 11:12; 13:4:
- ა. იობმა უთხრა ღმერთს: „გამაგებინე რისთვის მეჯობრები?“ (10:2ბ); „ამასაც ინახავდი შენს გულში, ვიცი რომ ესეც გქონდა განზრახული“ (მუხ. 13).
  - ბ. აქედან გამომდინარეობს, რომ იობი ვერ პოულობდა მიზეზს ღმერთის ასეთი მოპყრობისათვის მასთან, მაგრამ მას სწამდა, რომ ასეთი მიზეზი არსებობდა, და რომ ის დაფარული იყო ღმერთის გულში; ღმერთის გულში დაფარული იყო საუკუნეების საიდუმლო – ღმერთის მარადიული სახლმშენებლობა – ეფეს. 3:9.
- II. უდიდესი პასუხი ამ უდიდეს შეკითხვაზე არის საიდუმლო, დაფარული ღმერთში, საუკუნეების განმავლობაში, ღმერთის მარადიული სახლმშენებლობა, ანუ ღმერთის მარადიული განზრახვა მისი გულის სურვილთან ერთად, რომ დაარიგოს თავისი თავი თავის ღვთაებრივ სამებაში როგორც მამა ძეში სულის მეშვეობით თავის ამორჩეულ ადამიანებში, რათა იყოს მათი სიცოცხლე და ბუნება, რათა ისინი გახდნენ ორგანიზმი, ქრისტეს სხეული, როგორც ახალი კაცი, ღმერთის სისავსისათვის, ღმერთის გამოხატულებისათვის, რომელიც მოიპოვებს დასრულებას ახალ იერუსალიმში – 1 ტიმ. 1:3-4; ეფეს. 1:22-23; 3:9, 19; დაბ. 1:26; ესაია 43:7; რომ. 8:29; 1 იოანე 3:2:
- ა. იობი და მისი მეგობრები ფიქრობდნენ, რომ მისი ტანჯვები იყო გამოწვეული ღმერთის სამსჯავროთი; თუმცა, იობის ტანჯვები იყო არა ღმერთის სამსჯავრო, არამედ მომშორებელი და დამანგრეველი ზემოქმედება, რომელსაც ღმერთმა დაუქვემდებარა იობი იმ მიზნით, რომ მოეპოვებინა იობი, რათა მასაც უფრო მეტად მოეპოვებინა ღმერთი.
  - ბ. მიუხედავად იმისა, რომ ღმერთმა მოაშორა იობს ყველაფერი, ღმერთი, ეჭვგარეშეა, რომ არ იყო განრისხებული იობზე; ასევე ღმერთი არ თვლიდა, რომ იობი იყო მისი მოწინააღმდეგე, არამედ, პირიქით, თვლიდა მას თავის ახლო მეგობრად – იობი 19:11; შდრ. 10:13.
  - გ. ღმერთმა იცოდა, რომ თუ გაივლიდა ტანჯვებს, იობი იქნებოდა ხელახლა აშენებული ღვთაებრივი სამებით, რათა გამხდარიყო სხვა პიროვნება – ახალი კაცი, ახალი ქმნილება (გალ. 6:15), რომელიც შეასრულებს ღმერთის მარადიულ სახლმშენებლობას ღმერთის გამოხატულებისათვის (2 კორ. 5:17); ასეთია უდიდესი პასუხი უდიდეს შეკითხვაზე იობის წიგნში.
  - დ. ჩვენ მიერ ბიბლიის წაკითხვისას, ჩვენ ყურადღება უნდა გავამახვილოთ ღმერთის მარადიულ სახლმშენებლობაზე ღვთაებრივი დარიგებისათვის; თუ

არ გვეცოდინება ღმერთის სახლმშენებლობა, ჩვენ ვერ გავიგებთ ბიბლიას; ღმერთის განზრახვა იობთან დაკავშირებით იყო ის, რომ გაეხადა იობი ღმერთის ადამიანი, შედგენილი ღმერთით თანახმად ღმერთის ღვთაებრივი სახლმშენებლობისა:

1. ბიბლია, შედგენილი სამოცდაექვსი წიგნისაგან, კონცენტრირებულია მხოლოდ ერთ რამეზე – იმაზე, რომ ღმერთმა ქრისტეში სულის მეშვეობით დაარიგოს თავისი თავი ჩვენში, რათა იყოს ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი ბუნება და ყველაფერი ჩვენთვის, რათა ჩვენ ვიცხოვროთ ქრისტე და გამოვხატოთ ქრისტე; ეს უნდა იყოს პრინციპი, რომელიც ხელმძღვანელობს ჩვენს ცხოვრებას – იოანე 10:10ბ; 1 კორ. 15:45ბ; რომ. 8:2, 10, 6, 11; ფილიპ. 1:19-21ა; 2 კორ. 3:6.
2. ღმერთის მუშაობა იობზე იყო ის, რომ გამოეყვანა ის ზნეობრიობის სფეროდან და მიეყვანა ღმერთის მოპოვების სფეროში იმ მიზნით, რომ მიემართა ის სრულყოფილების ძებნიდან ზნეობრიობაში ღმერთის ძებნისა და მოპოვებისაკენ ნაცვლად სხვა ყველაფერი დანარჩენისა; ადამიანის მდგომარეობა ღმერთის წინაშე დაფუძნებულია იმაზე, თუ რამდენი ღმერთი მოიპოვა მან – ფსალ. 27:8; 105:4; ფილიპ. 3:8; მათე 25:3-4, 9; იგავ. 23:23; გამოცხ. 3:18; 2 კორ. 3:18; 4:17; 1 პეტ. 2:7; დან. 5:27; 9:23; 10:11, 19.
3. ღმერთის მიზანი თავის წმიდა ადამიანებზე მუშაობაში არის ის, რომ ისინი იყვნენ დაცარიელებულნი ყველაფრისაგან და მიიღონ მხოლოდ ღმერთი როგორც თავიანთი მონაპოვარი; მას უნდა, რომ მისმა ხალხმა უფრო და უფრო მეტად მოიპოვოს ის, ეზიაროს მას, დაეუფლოს მას და ტკბებოდეს მისით ნაცვლად ყოველივე დანარჩენისა, სანამ მათი ტკბობა არ მიაღწევს ყველაზე სრულ ზომას, რათა ისინი გახდნენ ახალი იერუსალიმი – მათე 5:3; ფსალ. 43:4; 73:25-26; ფილიპ. 3:8-9; გამოცხ. 21:2.
4. ასეთია სიღრმისეული მნიშვნელობა მთელი ახალი აღთქმისა როგორც უდიდესი პასუხისა უდიდეს შეკითხვაზე იობის წიგნში ღმერთის მიზანზე მის მიერ ადამიანის შექმნაში და მის სამუშაოში მის მიერ ამორჩეულ ადამიანებზე.

**III. ძირითადი პრობლემა იობის იყო ის, რომ მას არ ჰყოფნიდა ღმერთი; ღმერთის მთელ სამუშაოში იობზე ღმერთის განზრახვა იყო ის, რომ დაეპატარაებინა იობი, სანამ ის არ გახდებოდა არაფერი, მაგრამ ამასთან ერთად შეენარჩუნებინა მისი არსებობა (2:6), ისე რომ ღმერთს ჰქონოდა დრო, ჩაენერგა თავისი თავი იობში; ღმერთისთვის მნიშვნელოვანია მხოლოდ ერთი რამ – ჩაენერგოს თავისი თავი ჩვენში (ეფეს. 3:16-19):**

- ა. იობი იყო თვითმართალი (იობი 6:30; 9:20; 27:5-6; 32:1), და ის კმაყოფილდებოდა იმით, თუ როგორი გახდა ის (13:3; 23:3-4; 31:6), მაგრამ ის ვერ აცნობიერებდა, რომ მისი მდგომარეობა ღმერთის წინაშე იყო საცოდავი (მდრ. გამოცხ. 3:16-18).
- ბ. იობის დიდება იყო მისი სრულყოფილება და სიმართლე, ხოლო მისი გვირგვინი იყო მისი უბიწოება; ღმერთმა მოაშორა მას მისი დიდება და

მოაშორა გვირგვინი თავიდან (იობი 19:9); იობის იმედი იყო დაკავშირებული მისი „უბიწოების“ ხის გაზრდასთან, მაგრამ ღმერთმა არ დაუშვა, რომ ასეთი ხე გაზრდილიყო იობში, ამიტომ ღმერთმა ამოგლიჯა ეს ხე, ეს იმედი (მუხ. 10), რათა იობი ყოფილიყო მიყვანილი ღმერთის მოპოვების სფეროში.

- გ. ღმერთს უნდოდა, რომ იობს გაეგო, რომ ის იყო არასწორ სფეროში – თავისი თავის როგორც ადამიანის ძველ ქმნილებაში აშენების სფეროში – თავის სრულყოფილებაში, სიმართლესა და უბიწოებაში; იობი განადიდებდა თავის თავს ყველა ამ თვისებაში, მაგრამ ღმერთი თვლიდა მათ ხელის შეშლად, რომელიც საჭირო იყო, რომ ყოფილიყო მოშორებული, რათა იობს მიეღო ღმერთი მის ბუნებაში, სიცოცხლეში, ელემენტში და არსში და ამის წყალობით ყოფილიყო მეტაბოლურად გარდასახული, გამხდარიყო ღმერთკაცი, ადამიანი ახალ ქმნილებაში, რომელიც გამოხატავს ღმერთს და არიგებს მას სხეებში – 2 კორ. 3:18; 1 პეტ. 4:10; ეფეს. 3:2.
- დ. ღმერთის განზრახვა იობთან დაკავშირებით იყო ის, რომ დაემსხვრია ბუნებრივი იობი მის სრულყოფილებასა და სიმართლეში და შემდეგ აეშენებინა განახლებული იობი ღმერთის ბუნებაში და თვისებებში; წმიდა სულის მიერ წვრთნა ამსხვრევს ჩვენს ბუნებრივ არსებას, რათა შეადგინოს განახლებული არსება – 2 კორ. 4:16-18; რომ 8:28-29.
- ე. სულის მუშაობა ჩვენში არის ის, რომ შეადგინოს ჩვენთვის ახალი არსება, ხოლო სულის მუშაობა გარედან არის ის, რომ დაამსხვრიოს ყველა ასპექტი ჩვენი ბუნებრივი არსებისა ჩვენი გარემოცვის მეშვეობით; ჩვენ უნდა ვითანამშრომლოთ მოქმედ სულთან და მივიღოთ ის გარემოცვა, რომელიც მოაწყო ჩვენთვის ღმერთმა – ფილიპ. 4:12; ეფეს. 3:1; 4:1; 6:20; 1 კორ. 7:24.
- ვ. მთავარი მიზანი ტანჯვებისა სამყაროში, განსაკუთრებით ღმერთის შვილებთან დაკავშირებით, არის ის, რომ მათი მეშვეობით ადამიანის ბუნებაში ჩაინერგოს თვით ღმერთის ბუნება, იმისათვის, რომ ადამიანმა მოიპოვოს ღმერთი ყველაზე სრული სახით – 2 კორ. 1:8-9; 4:16:
  1. ცოცხალ ღმერთს შეუძლია გააკეთოს მრავალი სხვადასხვა საქმე ადამიანისათვის, მაგრამ ცოცხალი ღმერთის სიცოცხლე და ბუნება ამასთან ერთად არ ინერგება ადამიანში; როდესაც აღდგომის ღმერთი მუშაობს, მისი სიცოცხლე და ბუნება ინერგება ადამიანში – მუხ. 16.
  2. ღმერთი მუშაობს არა იმისათვის, რომ გახადოს ცნობილი თავისი ძლიერება გარეგნულ ქმედებებში, არამედ იმისათვის, რომ ჩადოს და ჩანერგოს თავისი თავი ადამიანში; ღმერთი იყენებს გარემოცვას, რათა ჩანერგოს ჩვენში თავისი სიცოცხლე და ბუნება – გალ. 4:19; 2 კორ. 4:7-12; 1 თეს. 3:3; იოანე 16:33.
  3. იმისათვის, რომ ვიცხოვროთ აღდგომაში და შევდგეთ აღდგომის ღმერთისაგან, ჩვენ უნდა დავემსგავსოთ ქრისტეს როგორც ღმერთის პირმშოს სახებას „ყველაფრის“ მეშვეობით – რომ. 8:28-29; ებრ. 12:10; შდრ. 48:11.
  4. როდესაც ვიტანჯებით, ჩვენ, შესაძლოა, ვწუწუნებთ ღმერთთან, მაგრამ ჩვენი წუწუნი შეიძლება იყოს ყველაზე საუკეთესო ლოცვა, ყველაზე

სასიამოვნო ღოცვა ღმერთისათვის; სანამ ჩვენ ვწუწუნებთ, ღმერთს უხარია, რადგან ის აკეთებს ისე, რომ ყველაფერმა ერთად იმუშავოს ჩვენთვის სასიკეთოდ, რათა ჩვენ დავემსგავსოთ მისი პირმშო ძის სახებას – შდრ. ფსალ. 102, სათაური.

**IV. სამერთიანი ღმერთის მოძრაობა, რომელსაც მიზნად აქვს გახადოს ადამიანი ღმერთი თავისი სახლმშენებლობის შესასრულებლად, რათა მიიღოს თავისი ერთობლივი გამოხატულება, ხდება მთლიანად შერწყმულ სულში, ღვთაებრივ სულში, რომელიც შერწყმულია როგორც ერთი ჩვენს ადამიანურ სულთან – 1 კორ. 6:17; გამოცხ. 1:10; 4:2; 17:3; 21:10; შდრ. იობი 12:10; 32:8:**

ა. ჩვენს ქრისტიანულ ცხოვრებაში ჩვენ უნდა ვიცხოვროთ სულით და ვიაროთ სულით; ჩვენ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი და ვიყოთ ყველაფერი სულის მეშვეობით, სულთან ერთად, სულში და სულით; აქედან გამომდინარე, ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ჩვენს სულზე, გავაკეთოთ ყველაფერი ჩვენი სულის ვარჯიშის მეშვეობით, რათა განვიცადოთ ღვთაებრივი სული, რომელიც ცხოვრობს ჩვენში, იწყობს თავის სახლს ჩვენში და გარდაგვსახავს ჩვენ – გალ. 5:16, 25; ფილიპ. 3:3; რომ. 8:4, 6; 2 კორ. 2:12-14; მალ. 2:15-16.

ბ. ჩვენ არ უნდა განვახორციელოთ არავითარი ქმედება ყოვლისმომცველი სულის გარეშე; ჩვენ არ უნდა შევხვდეთ რაიმე სიტუაციას ან დავაკმაყოფილოთ რაიმე საჭიროება სულისაგან დამოუკიდებლად; ჩვენ უნდა ვისწვლოთ, რომ შევხვით ღვთაებრივ სულს ჩვენს სულში; ასეთია სიდრმისეული მნიშვნელობა ქრისტიანული ცხოვრებისა და ქრისტიანული სამუშაოსი ღმერთის სახლმშენებლობის შესრულებისათვის – ზაქ. 4:6; 2 კორ. 3:3, 6; რომ. 1:9; 7:6; ფილიპ. 3:3.

გ. ვიყოთ ქრისტიანი და გამარჯვებული არ არის უბრალოდ რთული – ეს შეუძლებელია; მხოლოდ გამზადებულ და დასრულებულ სამერთიან ღმერთს, მცხოვრებს ჩვენში როგორც ყოვლისმომცველ სულს ჩვენს სულში, შეუძლია იყოს ქრისტიანი და გამარჯვებული – ლუკა 1:37-38ა; 2 კორ. 4:13; რომ. 8:2.

დ. სანამ ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ სულის თანახმად, ჩვენ შეგვიძლია განვიცადოთ ქრისტეს განკაცება, ადამიანური ცხოვრება, სიკვდილი, აღდგომა და ამაღლება სულის გადმოდერასთან ერთად; ამის შედეგად ჩვენ გავხდებით ღმერთის ეკლესია, ქრისტეს სხეული, ახალი კაცი და ვაზი და ღერწები როგორც სამერთიანი ღმერთის ორგანიზმი, რომელიც მოიპოვებს დასრულებას ახალ იერუსალიმში – ფილიპ. 1:19; იოილ. 2:28-32; საქმე. 2:16-21; ეფეს. 1:22-23; 2:15; 4:4, 23-24; იოანე 15:1-11; გამოცხ. 3:12; 19:7-9; 21:2, 10.

**V. როდესაც ღმერთი გამოეცხადა იობს, მან დაინახა ღმერთი, ამის მეშვეობით მოიპოვა ღმერთი თავის პირად განცდაში და შეიზიზღა თავისი თავი – იობი 38:1-3, 42:1-6:**

ა. დღეს ჩვენი ღმერთი არის ყოვლისმომცველი სული როგორც დასრულება გამზადებული და დასრულებული სამერთიანი ღმერთისა; ღმერთი, რომელსაც დღეს ჩვენ ვუყურებთ, არის დასრულებული სული, და ჩვენ შეგვიძლია ვუყუროთ მას ჩვენს სულში – 2 კორ. 2:10; 2 ტიმ. 4:22:

1. ჩვენ ვხედავთ ღმერთს, იმისათვის, რომ ჩვენ შევდგეთ ღმერთით; როდესაც ჩვენ ვხედავთ ღმერთს, ეს გარდაგვასახავს ჩვენ, დავინახოთ ღმერთი – იგივეა, რაც მოვიპოვოთ ღმერთი – 2 კორ. 3:16, 18; მათე 5:8; გამოცხ. 22:4.
  2. რაც უფრო მეტად ვხედავთ ღმერთს და გვიყვარს ღმერთი, უფრო მეტად ჩვენ უარს ვამბობთ ჩვენს თავზე და გვძულს ჩვენი თავი – იობი 42:5-6; ესაია 6:5; ლუკა 14:26.
- ბ. იმისათვის, რომ დავინახოთ ღმერთი, ჩვენ უნდა ვავარჯიშოთ ჩვენი სული – ეფეს. 1:17-18; 3:16-17; 1 კორ. 2:9-16; 2 კორ. 4:13; 1 ტიმ. 4:7; 2 ტიმ. 1:6-7:
1. რაც უფრო მეტად ვუყურებთ ღმერთს ჩვენს სულში, უფრო მეტად ვღებულობთ ჩვენს არსებაში მის ყველა ინგრედიენტს როგორც ჩვენს შინაგან შეწვენას – 2 კორ. 3:16-18.
  2. ჩვენს მწუხარებებს შორის ჩვენ უნდა ვიყოთ ფხიზლად ჩვენი სულის მიმართ, მივიღოთ უფალი როგორც ჩვენი საცხოვრებელი, ჩვენი საიდუმლო საკმარისობისა – 2:13; 7:5-6; მალ. 2:15-16; ფსალ. 91:1; ფილიპ. 4:11-13; ფსალ. 90:1-12; 31:20; ესაია 32:2.
- გ. იმისათვის, რომ დავინახოთ ღმერთი, ჩვენ უნდა ვიმუშაოთ ჩვენს გულზე – 2 კორ. 3:16, 18; მათე 5:8; 13:18-23:
1. ჩვენ უნდა განვახლდეთ ჩვენი გონების სულში, შემადგენლობის შეცვლით ღმერთის წმიდა სიტყვით, რათა ვიყოთ დამოძღვრილი, დავემორჩილოთ ხელმძღვანელობას, მმართველობას და ღმერთის სიტყვის მიერ კონტროლს – ეფეს. 4:23; რჯლ. 17:18-20; ფილიპ. 2:2, 5.
  2. ჩვენ უნდა ვიწვოდეთ უფლის სიყვარულით, ნება მივცეთ მას, რომ ჩვენი გრძნობები აივსოს მისით როგორც ჩვენი შურით მის სახლზე – 1:8; 2 კორ. 5:14; 2 ტიმ. 1:6-7; იოანე 2:17; მარკ. 12:30.
  3. ჩვენ ნება უნდა მივცეთ, რომ ჩვენი ნება იყოს დამორჩილებული ქრისტეს მიერ და გარდასახული ქრისტეთი ტანჯვების მეშვეობით, რათა ის დაემორჩილოს ქრისტეს თავობას (ფილიპ. 2:13; შდრ. ქებ. ქ. 4:1, 4; 7:4ა, 5), და ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ კეთილი და სუფთა სინდისი შეუფასებელი, გამაწმიდანებელი და მინარევის მომშორებელი ქრისტეს სისხლით (საქმე. 24:16; 1 ტიმ. 3:9; ებრ. 9:14; 10:22).
- VI. ღმერთის მიზანი მათზე მუშაობაში, ვისაც უყვარს ის, არის ის, რომ მათ მოიპოვონ ღმერთი სრულად, რომ ისინი იყვნენ აღმატებულნი იმ ყველაფრის დანაკლისზე, რაც მათ ქონდათ ღმერთის გარდა (ფილიპ. 3:7-8), რათა ის იყოს გამოსატყუნი მათი მეშვეობით თავისი ჩანაფიქრის შესასრულებლად ადამიანის შექმნისას (დაბ. 1:26).